

საქართველო

სურათებიანი ლამაზება

გაზეთის № 6

ლამაზების № 2

კვირა, 8 იანვარი, 1917 წ.



სტეპანე თევ. ძე ტრელაშვილი
(იხ. „საქართველოს“ № 5)



ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატები და მ სი უსამ-
ღვდლოესობა საჩაოთველოს ექსარხოსი პლატონი
(წარსულ წლია ქრისტეშობისთვის კრება)

6/45

პაოლ უ იაზვილი

უეცარი ლამაზი—პოლონეთს*).

ზღაპრული ხალხი! გრძნეული ერი!
 აქ პოლონეთი—წმიდა მხარეა!
 თქვენ გითენდებათ დღე ბედნიერი,
 და თქვენთან ერთად ჩვენც გიხარია.
 მიცქევეჩის რაშს არ უძნელდება
 ნახვა სწორის და გაწმენდილ გზისა,
 და სლოვაკებისთვის არ დაბნელდება,
 თუ მოხვდა დროშას ისარი მზისა.
 როგორც შობანი, თქვენთვის დამწვარი,
 ისე ნაზია დღეს თქვენთან გული.
 და თქვენს ზეიმში ჩვენი ხმაც არი,
 თქვენის დიდებით აღელვებული.
 გესურს ვიამაყოთ ძველ სახელებით
 და ახალ სისხლით ვნამოთ ყანები,
 მწარე იარებს ნაზი ხელებით
 დაგვიამებენ თეთრი პანები.
 და როს თქვენს გვირგვინს, ერის სამკაულს,
 შემოიხევე მწუხარე თალხი,
 ძველი ვარშავის დიდ დღესასწაულს,
 ჩვენ ისე ვიგრობთ, ვით თქვენი ხალხი.
 ქართველი ერი და პოლონეთი:—
 ორი გვირგვინი და ორი კენესა!
 ჩვენ გვწვალებდა ოცნება ერთი,
 და ჩვენ მოველით ერთნაირ მზესა.
 ჩვენ ერთად ველით და მალე გვინდა
 ახალი მორთვა მზით მთა-ველისა!
 ამაყო ძმებო! სალამი წმიდა!
 სალამი გრძნეულ რუსთაველისა!

უცნაური სიზმარი

გიცო, ჩემო, რაც მსურს გითხრა, არ გეყოფა სასაცილოთ,
 მაგრამ მაცა, ეს სტუმარი ცოტა კიდევ გავაცილოთ.
 მერი გეტყვი ერთ ჩემ მიერ ნახულ სიზმარს წუხელ დამო.
 და მიხედები, რომ სიზმარშიც არ გასვენებ ერთის წამით!

ყური მიგდე, ვიწყებ, აი... რა გაცივებს, არ გრცხვენია!
 მე აქ, ლამის, ამ ამბავმა მთლად წამართვას ღვთის გენია,
 შენ კი მოპყე სიცილ-ხარხარს, თითქოს იყო ციფო, გულქვა,
 ოხ, რა რიგათ ვწყვილი იმ დღეს, ოდეს შეგსვი შენი სუნთვა...
 გევედრები, მომისმინე, ნუ ინდომებ ჩემ დაქნობას,
 თორემ, ვფიცავ შენს ლამაზს თავს, ვერსად კოვებ თანაგრძობას.

ჰო და, ეხლა ყოველსავეს მოგიყვები ჩქარა—ხელად,
 თუ სიზმარმა წუხანდელმა რად გამხადა კაცის მკვლელად.
 გახსოვს, გუშინ ისე მზიურ ვერ მოვშორდი შენს ფანჯარას,
 სევდიანი ვიდექ შენს წინ და ვილოდი: „ჰო თუ არას“.
 მაგრამ შენ კი იდექ ჩუმად და პასუხი გაგიძნელდა;
 წახველ უხმოდ და ჩემს ირგვლივ საზარელად ჩამობნელდა...
 მიველ მარტო ჩემ ბნელ ქოხში, შენზე ფიქრი შემეძინა,
 დავიღალე ამ ოცნებით და მაშინვე ჩამეძინა.

ვნახე სიზმრად,, მთვარის დისკო ლამაზ მდელოს შუქს აფრქვევდა,
 ჩემთან იყავ, მივდიოდით, არ მტანჯავდა ფიქრი, სევდა.
 მითხარ: მე აქ შევისვენებ, შენ დაკრიფე ყვავილნარი
 და ის ვარდიც მომიწყვიტე წითელი და მოცინარი“.
 ის-ის იყო, გამოვბრუნდი, წასასვლელად დავეჩქარე.
 მოვიხედე და რა ვნახე? დამიბნელდა არე-მარე:
 შენ ვიღაცა გეხვეოდა, თითქოს ვიცან ის თავხედი;
 და ვიფიქრე: მორჩა, ახლა ვერ უშველის იმას ბედი;
 მოგელ ახლო, გადავწყვიტე: მოვკლავ ამ ჩემ დამლუპველსა!...
 მაგრამ შენ ეს არ ისურვე, არ გაუშვი ხელი ხელსა,
 და ავტირდი, ვით სტირიან შავ ძაძებში გახვეულნი.
 ვთქვი: ლალატი და ტანჯვები რისთვის გაჩნდნენ ის წყეულნი?!
 ავდექ დილით და გამოველ ისეთ სევდით დაღვრეპილი,
 თითქოს მცხედარს შემრობოდეს საამური ტუჩს ღიმილი.
 მე ის კიდევ ცხადლივ ვნახე, ვნახე-მეთქი, მოვკალ ხელად,
 და ეხლა კი თვით სიყვარულს წარვუდგები დასასჯელად.

ი. დაროშვილი.

*) ეს ექსპრომტი ავტორმა რუ'ულად წარ-
მოსთქვა პოლონელთა კაფეში ახალ წელიწადს.





ნიკ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება; განჯიდან თბილისში, 1893 წ.
სამგლოვიარო პუოცესიის სურათი გადაღებულია თბ. რკ. გზის სადგურზე.

ბედის მდინარე

იქროლე ქარო, იქროლე...

აჩუროლე ქალებში ჩალა,
პირველი სხივი სასიყვარულო,
დიდი ხანია, გადაიხარა...

ოცნება ტკბილი ს-ყმაწვილისა
ტან-სილოვან მთებს შენოემალა

— და გაიპარა.

ქარო დაქროლე ბედის მდინარეს,

ველურ ნაპირებს შეუთამაშდი,

გაშალე მწუხრი, — გაშალე მწუხრი,

ფიქრს თანამგზავრად მხოლოდ შენ დაშთი.

ბედის მდინარე — ისევ ისე კვლავ მიმდინარე..

შავი ტალღები იზღებოდა, კვლავ ერთვებოდა;

ვარი კი კრთოდა, მე ვუძახდი — ყრუ ნაპირებზე,

ჩემი ჩახილი ქარის ზუზუნს ზედ ერთვებოდა.

აფდევნა და მაცდურ ტალღებს დაემორჩილა,

ვინ იცის, როდის დაილუქება — განაპირდება...

ან ვინ დაეძებს, ვინ ინაღვლებს... ობოლ საფლაფზე

მერე რა ვუყო, თუ არავინ არ ატირდება!..

ფიქრი, რა ფიქრი, დაყვა ნაპირს გამალეხული,

ბედის ტალღებმა შეათამაშეს, შეიტვიტვიტეს;

სული მისდევდა, მისტიროდა აცრემლავული,

მეც ქე მოვსთქვამდი, სამშობლო მთებმაც ქე დაიტურქი.

რა ჯარგი იყო.. დაქარვულ დროში ტოლგეში ვრბოდი,

ჩემი გრძნობები იმედინაბი დაფრენდა ველად;

საყვარელ მდელს ვუაღერსებდი, — არ ვშორდებოდი,

იღუმალ ძახილს თან მივყვებოდი მე უდარდელად.

რა რიგ მიყვარდა, როგორ ვეტრფოდი კეკლეუ გაზაფხულს.

ტურფა გაზაფხულს, ოცნების ბაღებს ყმაწვილობისას;

ნისლი დიმიძიდა — გზნდავ მიდგრებს, უშნოდ გადახნულს,

ვინდა მომასმენს უმანკო ლოცვას პირველ ყრმობისას.

ფიქრი გამშორდა მოციკოვანე, შვების მომცემი,

სულიც მას გაყვ, — მეც თან გაყვები ამ მოკლე დროში.

და დამშენია, რომ ვანუგემო ამ ქვეყანაში,

ქედი დაქშუის თეთრ სართულებში — და ჩემს სადგომში.

აწი გაყვები ბედის ძახილს. ვერანა ტალღებს..

ის ხომ ისე; ყველგან უნდობი და მოსიძღერე,

ქარი იქროლებს, ითარეშებს უსაზღვრო დროში,

უსიყვარულოდ დავალუქები.. რა ვუყოთ მერე...

ბედის მდინარე, შენს ტლუ ტალღებში

თუ მომინახო სამარე ადრე —

შენ გენაცვალე — შენი ქირიმე,

სამშობლო ველზე გამრიაყე სადმე...

ობოლ სამარეს, მიტოვებულს ხრიოკს ველებზე.

დასახებს წერო ღრუბლიანი, რო შებინდდება..

წყალი ჩაივლის.. ტალღების ღიღინსგაატანს სივრცეს,

მხოლოდ, სივრცეში სსმშოალოს ლანდი აქვითინდება.

აედის მდინარე, — მე ვუძახდი ყრუ ნაპირებზე,

ჩემი ძახილიქარის ზუზუნა ზედ ერთვებოდა.

იქროლე ქარო, იქროლე.. შემოუბერე სივარიელეს

ეს დღე შენია;

მეც აგადევნებ თავგანწირულ სევდის სიმღერას... აბა მეტა

რა დამშენია.

პრ. მეგრელიშვილი

* *

ოდესღაც წახლოდ სიტყვით მზიბლავდი,
მეფიცებოდი უკვდავ სიყვარულს,
შენ კაცთა შორის ღვთაებას ჰგავდი,
ჩემდა საძებრათ ციდან ჩამოსულს.

ჩემსკენ მომავალს ცისა მნათობნი
თან-მოგყვებოუნენ, აფრქვევდი ნათელს;
როს მშორდებოდი, ზნელი-წყვილია
ეფინებოდ, დღისა სინათლეს!

როს მწველის გრძნობით მევედრებოდი:
„გამეყო შენი ქირი და ლხენა“,
სამარადისო შესაერთებლათ, —
ვფიქრობდი, — ჩვენს სულს იწვევდა ზენა!

მეგონა: ორი, ერთად ქცეული,
გარდვიქმნებოდი უძღვევლ გმირად!
ჩვენს შეთანხმებულს იმედს და რწმენას
რა შეაკრთობდა თავ-გასაწირად.

მაგრამ, როდესაც შენს სულიერს „მეს“
ერთს შავს დღეს ჩემს წინ გაულე კარი;
მძაფრ ქარიშხალმა გამოიქროლა
და შეშინებულს დამცა თავ-ზარი!

გინდა იცოდე, რად შევიცვალე,
გულში რად მექცა ყინულად გრძნობა? —
მისთვის, რომ ჩემს სულს სიკვდილს უქადდი
და მხოლოდ ხორცის გწყუროდა ტრფობა...

კატო მიქელაძე

* *

ნულარა, ჩემო სამშობლოვ,
ნულარ დაძადენ ცრემლებსა,
ნულარ დამაკოდ გულ-ღვიძლსა,
ნუ დამიდუნებ ხელებსა!

ნულარ შემისფოთ სიციცხლებ
ამდენ ხნის განამწარებსა,
ნულარ დახურავ სულარას
შენ პაწაწინა მხარესა!..

ცოტა რამ სხივი გამოჩნდა,
შენს გულზედ იწყო ცქრიალი,
შენს წალმა ბრუხვად დავსახე
შენი ბედისა ტოიალი.

გამოაშუქე დროისად,
მოჰვანე არე-მარესა,
თავისუფლობის ნალარა
დაუქარ ყოველს მხარესა.

მ. ლოლაძე



ექ. ვაგანი ალექსანდ. ნანეიშვილი (გარდაიცვალა სახადსაგან, ქრისტე-შობისთვის 2, თბილისში.



პრაპორშჩიკი მარკოზ ივანეს ძე გოგიჩაშვილი (დაჭრილია ავტორის ფრონტზე)



პრაპ. ნესტორ ივანეს ძე ღუმბაძე დაჭრილია მძიმედ თავსა და ფეხში (გერმანეთის ფრონტზე)

გამოსაღება

მივიღებ, ძმაო, მშვიდობით, იქნებ ვერ გნახოთ თვალითა; თუ არ მოვიდე, ნუ მიგლოვთ, გულს ნუ გაიტებით ჯავრითა. ნუ სტირით, დანო და ძმანო, გულს ბასრა ნუ ივლებთ ველადა, არ დამიკმობოთ საკმელი, მღკდელს ნუ მოიხმობთ შველადა, ცხვარიც არ მინდა საკლავად, — შეტია ყველა ესაო, წყვეა და დაკრულვა მიუტოვნათ ვინაც ეს დააწესაო. თავს უღვთო ყოვან დაგვიჩავის სიცოცხლე გაგვიმწარაო, ჩვენს წინ დახედეთ მწვანებზე, რაც სისხლი დაიღვარაო გაფრინდი. მელეფარო ნიაგო, გადამატარე სერები, დამტოვე ჩემსა სამშობლოს, რომ ვნახო მოხუცთ ბერები... ნეტა, იცოდეთ, რა მიყვარს ჩემ ქვეყნის მთისა წვერებო, ფრინველნი წყნარად გაღობენ, ველზე დარბიან შველები. იქ არის ჩემი სამშობლო და წინაპართა საფლავი. მე კი ამ უხუცხო ქვეყანას მიტრეხა ცაზე ვარსკვლავი...

ვასო მთიული.

განდაგილი სოფელი (ამბავი)

კავკასიის უმაღლეს მწვერვალთა შორის, იქ, სადაც მდინარე ქოისუ მშფოთვარ ზვირთებს მიაქანებს, მთების უფსკრულთა შორის ჩაჩხირულა სოფელი არჩუ. ირგვლივ უშველებელი მთები, დაუსრულებელი და გაუთავებელი, მალაღნი ნაპრაღნი კლდეებისა, ბორცვნი, უფსკრულები და კიდევ კლდე-ღრე ნიაღვრისა და თქე-შისაგან ჩამოზიდული და ზვინებად დაგროვილი. ირგვლივ მხოლოდ მთანი მალაღნი, დაუნდობელი და გაუტანელი, გულცივნი, ბოროტნი აყუდებულან, შეუკრავთ და შეუხუთავთ იქაურობა. ვერსად თვალი ვერა რბის, იგი შეხუთულია, ხელფებ შეკრულია, ცის კამარაც კი თითქმის ერთი ნაჭერიც ძლივს მოჩანს და მის ბრწყინვალე მნათობიც მხოლოდ მცირე ხანს ჩამოანათებს ხოლმე და შუქა მოპფენს საბრალო სოფელს. იგი ციხეა ბუნებრივი, გადაუვალის მთებით გა-

რემოცული, რომლის სამარებრივ სიჩუმეს მხოლოდ მშფოთარე ქოისუ არღვევს. მოუსვენარია ქოისუ, მაგრამ რას გახდება გულქვა საუკუნობრივ აყუდებულს ქვა-კლდეებთან, ის აქ საბრალო და საწყალი. ქვა-კლდე, აყუდებულს მთებს მისთვის სული შეუხუთავო, მოუკუმშავთ, დაუზრდილავთ და გალიაში გამოწყვედულსავით მას ფრთა ვერ გაუშლია, თავსუფლად ვერ ახოუსუნთქავს. მთას ისიც შეუბორკავს, რკინის სალტა შემოუჭერია, რომლის გაწყვეტა-გაგლეჯას ის მთელის თავისს ძალღონით სცდილობს მთელის საუკუნოების განმავლობაში, მაგრამ როცა კი მოახერხებს ერთ ბეწვა ფრთის გაშლას და გზას გაიკაფავს, მაშინვე უნდობი და შეუბრალებელი მთა იმდენს ქვა-კლდეს ჩამოაყრის თავპირზედ, რომ მის ფრთის გაშლილობისაგან მხოლოდ მწარე მოგონება და რჩება ხოლმე მდინარეს.

აი, ამ პირქუშ, დაუნდობელსა და გულქვა ხეობას შეჰკედლებია სოფელი არჩუ. მდინარის გვერდით ხეობაში შეჩხირულს პატარა გორაკი ფუტკრის სკასავით ირგვლივ შეძობვევია პატარა ღარიბი ქობები არჩუელებისა. სახლები ერთი-ერთმანეთზედ მიყრილ-მიკუთრულნი კიბე-კიბე შესდევნენ გორაკს ძირიდგან თავამდის, ერთის ერდო მეორის კარმიდამოს წარმოადგენს. მიწის სიფრთოეს და ხალხთა სიღარიბეს ყოველივე შესძლება. პატარა უსწორ-მასწოროდ აშენებული ქვიტიკრის სახლები უბრალო სარკმლითა და ერთი ბეწვა კარებებით, ისე ახუნძვლია ამ გორაკს, როგორც კარგად მსხმოიარე ხეს ვაშლები.

ასეთია სოფელი არჩუ, იგი კუნძულია ამ დაუსრულებელ მთათა შორის. ირგვლივ, კარგა მანძილზე, არსად სხვა სოფელი, არსად ადამიანთა გზა-კვალი. მოწყვეტილია ქვეყნიერებას არჩუ, მოწყვეტილია მის ჩვეულებრივ მაჯის ცემას. იგი განდგომილია, გამდგარია, შეჰკედლებია მთა-კლდეს და მისი ღვიძლი შვილი, მისი პირმშო განხდარა. იგი თითქმის არა გრძნობს ავ მარტობას, ობლობას, მთანი მალაღნი არ აზინებენ მას, იგი ხომ მისი შვილია, მასთან შესისხლ ხორცებული და რიდასი უნდა ეშინოდეს. არც ვინ ესაჭაროება არჩუელთ, ვინ რა თუნდა, ის მცირითაა კაცყოფილი, კაცყოფილია იმითი, რასაც მთა აძლევს. მთა კიდევ ძუნწია, ცოტაოდენი სახნავი მიწა, რომელიც წლითი-წლობამდის

იმდენს დიკასა და ქერს აძლევს არჩუელებს, რომ სიმშლით არ დაიხოცნენ, ცოტაოდენი ცხვარი და თხა, რომლითაც მთა დიდ გულუხვობას უწევს მშენიერის ბალახით და მორჩა და გათავდა. მთის გულმკერდი ზეფულობით სავსეა მწვენიერი სურნელოვანი ბალახით, ის უხვად, ფიანდაზად გაღუშლის ხოლმე თავის გულმკერდს არჩუელებს და სხვა დროს ძუნწი და დაუნდობელი, ეხლა უხვად მასპინძლობს. სოფელნიც ცდილობენ დროთი ღ გარემოებითი სარგებლობენ, ისინი ხარბათ და მხიარულად მოედებიან ხოლმე მთასა და სულ იმის მეცადინეობაში არიან, საკმარისი თივა შეუნახონ თავიანთ მაცხოვრებელს ცხვარსა და თხებს, რომელნიც ზამთრობით არსად მიჰყავთ და სახლსა და გომურებში ინახვენ.

არსად არჩუელი არ მიდის, არსად მისი გული არ მიიწევს, ზის თავისს მთა-კლდეთა შორის და ხშირად ნახავთ იმათში იმგვარს ადამიანს, უმეტესად ქალებში, რომელსაც სხვა სოფელიც კი არ ენახოს. ჩაკეტილია თავისს სოფელში, იმას ყველაფერი აქვს, მარტო მისთვის გამოსადეგი და სახმარი. არჩუელი თავისს საკუთარს არჩუიულს ენახედ ლაპარაკობს, მას თავისათვის ცალკე შეუქმნია, რომელზედაც მთელს ქვეყნიერებაზედ გარდა არჩუელისა არავინა ლაპარაკობს, ცალკე თავისებური ტანისამოსი აქვს და ჩაცმა-დ-ხურვა, რომლის მზგავსაც ადამიანი სხვაგან არ შეხვდება. შუბლზედ და ყელზედ გამწკრივებული აქვთ ქალებს სხვა და სხვა ფერი კენჭებისაგან ახუნძლული ქვები და მძივები, გრძელი, განიერ წინდებში ჩაკეცილი შარვლები აცვიან და სხვა. ზამთრობით ყველას ნაბდისკან მოთელილი ყელიანი ფეხსაცმლები აცვიან, ზაფხულობით კი უმთავრესად ფეხშიშველები დაიარებიან.

ასეთი თავისებურია არჩუ, იგი მთათა შორის ჩაკეტილია და რაცა ჰხდება მის გარეთ, მას არ აინტერესებს, მისთვის მათი ყური ჩლუნგია. ჩავაჭროდაც კი არსად მიდის არჩუელი და ან კი სად წავადეს, როდესაც თითქმის მთელი რვა თვე ჩაკეტილია და ძღულებულია სახლში იჯდეს. მხოლოდ ზაფხულობით, როცა გზები გაიხსნება, სანი ოთხი დაჩვეული ვაჭარი სომეხი მოვა ხოლმე სოფელში და იმათგან იღებს მთელი წლის საჭიროს არჩუელი. მაგრამ ვაჭრობს კი არა, იგი

მხოლოდ სცვლის თავის საჭიროს მოტანილზედ, ასე რომ აქ თანამედროვე ვაჭრობას ფულზედ მცირე ადგილი უჭირავს. არჩუელი აძლევს მატყლს, მოქსოვილს შალებს, ხურჯინებს, თოკებს, ნაბდებს და სამაგიეროდ ვაჭრისგან იღებენ წუმწუმს, ნავთს, მიტკლეულობას, ჩითებს. ეს არის თითქმის მთელი ვაჭრობა არჩუელისა. სხვა მოთხოვნილება არჩუელს არცა აქვს და არცა სჭირია.

გარდა ამ ვაჭრებისა და სამი-ოთხი ბეგისა, რომელთა მიწასაც ხმარობდენ ზოგიერთი არჩუელი, და ბოქაულისა, რომელიც ხარჯის ასაკრეფად შეივლიდა ხოლმე სოფელში, არავინ ეწვეოდა ხოლმე ამ სოფელს წლითი-წლობამდის. ბოქაულიც კი მხოლოდ ხარჯების ასაკრებად მოდიოდა. ეს ხარჯებიც საშინლად მცირე იყო და მცხოვრებთა შეძლებსათან შეთანხმებული. ისე კი არასდროს ესტუმრებოდა ხოლმე, რადგანაც სოფელი მეტად მშვიდი და წყნარი იყო და ძალიან იშვიათად მოხდებოდა ისეთი საქმე, რომ პარლიკის ჩარევა საჭირო ყოფილიყო. სოფელი შეჩვეული იყო ყველაფერს და თუ რამე მოხდებოდა, თავიანთშივე მორიგებით გაათავებდნენ ხოლმე და საბოქაულოდ საქმეს არ გახდიდნენ.

ერთხელ აქ მოსულს ვაჭარს, არტემს, რომელიც ყოველთვის მამიდასთან ჩამოხტებოდა ხოლმე, გადაეკიდა მამიდასშვილი შიტო და თან ვაჭყვა. ეს თითქმის პირველი მაგალითი იყო, რომ სოფლიდან გაჰყოლოდეს ვინმე ვაჭარი. მამასაც, ცოტა არ იყოს, გული ეღრინებოდა, ვერ იმეტებდა შვილს, მაგრამ შიტომ აიხარა და წავიდა. არტემა ჰპირდებოდა, ისე შევიხანავ, როგორც ძმასა, ხაშთარს გაატარებს ჩემთან და ზაფხულში რომ მოვალ სავაჭროდ, ისევ თნ მოვიყვან და ჩავაბარებო.

კარგა ხანი წავიდა შიტო. გავიდა გაზაფხული, მაგრამ არამც თუ შიტო, თვით არტემაც კი არსად სჩანდა და სავაჭროდ ფეხიც აღარ გაუდგამს სოფელში. მამედამ პირველად დააპარა წასვლა, შვილის მოძებნა, მაგრამ სად უნდა წასულიყო, ვისთვის უნდა მიემართნა, თითონაც არ იცოდა. ამასობაში ზამთარიც მოვიდა, გზები ჩაიკეტა, წასვლა შეუძლებელი გახდა. მოვიდა მეორე ზაფხული, მესამეც, მაგრამ შიტოც და არტემაც კვალწმინ-

დათ გაჭირნენ და მათი ასავალ-დასავალი აღარაფერი იცოდა. ბოლოს მიმედამ თითქმის გამოიგლოვა შვილი, საბრალო დედა ცრემლად იღვრებოდა და მუდმივ წყევლას უთვლიდა იმ პირქუშ ვაჭარს, რომელმაც შვილი მოსტაცა და მისი ამბავის მონატრულიც გაჰხადა.

შიტო კი ამ დროს რკინის გზაზედ მსახურობდა. სოფლიდან წამოსულმა ვაჭარმა არტემამ ამ წელს სრულიად მიანება მთაში ვაჭრობას თავი, რადგანაც უკვე საკმაო თანხა ჰქონდა შეგროვილი უფრო დიდ აღებ-მიცემობის დასაწყებად. წავიდა, განშორდა მთას სრულიად და რკინის გზაზედ იჯარების აღება დაიწყო. თან წაიყვანა შიტოც. გონებით მახვილი, ნიჭიერი შიტო, ცქვიტი და მალხაზი, ჩქარა შეჩვიდა ასეთს ცხოვრებას, რუსული სიტყვა-ლაპარაკიც ისწავლა და ცოტა ხნის შემდეგ არტემაც მიატოვა და რკინის გზაზედ მუშად შევიდა. აქ ცხოვრებაში ისე მოერთო, მუშებთან ყოფნამ და სიტყვა-ლაპარაკმა ისე გაიტაცა, რომ სრულიად აღარ აგონდებოდა არც დედ-მამა, ნათესავები და აღარც თავისი მთა. მხოლოდ დრო-გამოშვებით მოაგონდებოდა ხოლმე მთაში მათი მუდმივი ვაჭირვება და ბეჩავი ცხოვრება, მათი სიღატაკე-შეშველობა და იტყოდა ხოლმე: — რას შეჰკედლებიან იმ ტიპლ მთას, ჩამოვიდნენ ბარათ, იშრომონ, გაისარჯენ, ხელეზი გაანძრონ, დაინახონ ქვეყნიერება, მისდგენ-მოსდგენ და კარგად იცხოვრებენო.

ამ დროს მოძრაობაც დაიწყო. მახვილი გონების პატრონი შიტო მეტად გაიტაცა და აღაფრთოვანა ახალმა მოძღვრებამ. თანასწორობა-ერთობას ისეთ ნაირს აღტაცებაში მოჰყავდა ნორჩი გონება მთიელისა, რომ ის მზად იყო მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა ამ მოძღვრების განხორციელებისათვის. მაშინ ხომ მისი მთაც გამოიღვიძებდა, გაიხარებდა, იმ ბეჩავსა და ბედკარულს ცხოვრებას მომჩიებოდა და თავს დაახსენებდა. რანაირად ენატრებოდა ეხლა იმას მთაში წასვლა, მთაში ახალის მოძღვრების ქადაგება, მათი ამოძრავება, მაგრამ ჯერ-ჯერობით წასვლა შეუძლებელი იყო, ჯერ აქაც, რკინის გზაზედ, აქტიური მოძრაობა არ დაწყებულყო, სიტყვიდან საქმეზედ არ გადასულიყვნენ. ჩქარა ესეც დაიწყო, რკინის გზაზედ და სხვაგან გაჩაღდა გაფიცვები, მოძრაობა ყველგან მოედო, სოფლები და ქალაქები ერთნაირად ამოძრავდნენ და შეტბორებული ცხოვრება ყველგან კალაპოტიდგან გადმოვარდნას ლამობდა. შიტომაც იდროვა და თავის სოფლისაკენ მოჰქუსლა დიდი ხანი ზოუნდა მგზავრობას, პირქუშად ეჩვენა მას ეხლა მთა. მათის ვიწრო და აღმართ ბილიკებზედ სიარულს გადაჩვეული, ძალზედ უჭირდებოდა ეხლა სიარული და რის ვაი-ვაგლახით ერთ საღამოს მიახწია სამშობლოს — თავის არჩუს.

უნდა გენახათ მაშინ შიტოს დამწვარი დედა, წარმოუდგენელი იყო ის სიხარული, ის გატაცება, რასაც გრძობდა მისი მშობელი. შვილთ თითქმის გამოგლოვილი ჰყავდა, აღარსაით არა ჰქონდა იმედი მისი დაბრუნებისა და დღეს კი უკვე საიდგან-

ლაც გამოცხადდა მოჩვენებასავით. თანაც მშვენიერად ჩაცმულ-დახურული, აღარაფერი არ უგავდა არჩულს. იმ ღამესვე მოედო ეს ამბავი სოფელს. ამასთანავე გავრცელდა ხმა, რომ შიტომ დედას მოუტანა საუცხოვო საჩუქრები, რომლის მზგავსებიც არავისა აქვს არჩუიო. ეს საჩუქრები იყო დიდი დასურათებული ქალაქი აბრეშუმისა და თბილი პალტო, რომელიც ბაზარზედ ეყადა შიტოს.

მეორე დღეს თითქმის მთელი სოფელი შეგროვდა შიტოს სანახავად, დიდი და პატარა თითქმის იქ იყო, ზოგი რასა ჰკითხავდა, ზოგი რასა იმ ქვეყნის ცხოვრებისა და ამბებს, სადაც შიტო სცხოვრობდა. მაგრამ ცალ-ცალკე ყველასათვის პასუხის გაცემა უჭირდა, შემთხვევით ისარგებლა და მაშინვე შეუდგა იმ საქმეს, რისთვისაც მისულიყო და საერთოდ დაუწყო ლაპარაკი — დიდი ამბები ხდება, დიდი, მთელს დუნიაზედ და მხოლოდ თქვენა გდინავთ, დროა თვალები მოიფშვნიტოდ და თქვენც ქვეყნიერებაში გაერთოთ. მთელი ადგილ-მამული და საცხოვრებელი ეხლა გლენკაცობამ წაართვა ბეგებსა და კნიაზებსა, გეყოთ, რაც თქვენა სქამეთო და გვიმსახურეთო, ეხლა მამული ჩვენიაო. ურჩ ბეგებსა და კნიაზებს სახლ-კარი გადუწვეს, გარეკეს სოფლებიდან და თითონ ძმურად გაიყვეს მათი მამულები. საერთოდ სასოფლოდ გახადეს ყველაფერი. ეხლა ყველგან ერთობა და თანასწორობა უნდა იყოს, კერძო საკუთრება უნდა მოისპოს, მიწა იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც იმასა ხნავს და ამუშავებს. აი თქვენთან რომ ბეგები მოეთრევიან და ღალასა და ცხვარს გამოგართმევენ ხოლმე, ეს აღარ უნდა იყვეს დღის უკან, აღარაფერი უნდა გადუხადოთ და მისცეთ იმ სისხლის მსმელებს, კმარა, რაც თქვენს ზურგზედ გასუქდნენ. უმფროს-უნცროსობა აღარ არის იქითკენ, ყველაფერი გათანასწორდა, აღარც პადი-შაჰი იქნება, აღარც სარდარი. იქ ყველაფერი ხალხმა მოაწყო, თითონ განაგებენ სოფლებსაც და ქალაქებსაც, თავიანთივე ჰყავთ ამორჩეული კაცები, ათის თავები და ასის თავები, რომელნიც განაგებენ ყოველივე საქმეებს. გაერთიანდა ყველაფერი და სახალხოდ იქცა ყოველივე. რკინის გზაც ეხლა ხალხის ხელშია, როგორც უნდათ, ისე ამუშავებენ და ვისაც უნდათ, იმას წაიყვანენ. აღარც ძველი ადათებია, სულ მოსპეს და გადაადგეს, ის რასაც მოლები და პაჯიები გეუბნებიან, სულ ტყუილებია, ეგენი ჰლუპავენ, ჩასაქოლავები არიან და გასაქცხავი. მაგათ ამოაგდეს ქვეყანა, თავიანთ მდგომარეობის შესანარჩუნებლად ხალხს ატყუებენ და ათასნაირს ტყუილა ხარჯს აწვივნიებენ, ყველა ეგ ცრუ-მორწმუნებაა, მაგათ აღარაფერი დაუჯეროთო.

— გეყოფა, შვილო, მაგდენი ლაპარაკი, დაღლილი ხარ, — სთხოვა დედამ შიტოს, ზოგი კვლავა სთქვი, — და სახლში წაიყვანა.

ხალხი სიამოვნებით უჯდებდა ყურს თავდაპირველად, მაგრამ რაც მეტს ლაპარაკობდა შიტო, აქ-იქ უკმაყოფილონი ჩნდებოდნენ, რომელთაც სახეზედ უსიამოვნობა ეტყობოდათ და უხეიროდ აქეთ-იქით იმზირებოდნენ. უკმაყოფილობა უფრო გაიხარდა, რო-

ცა მეორე, მესამე დღესაც განაგრძო შიტომ ამგვარადვე და მოინდომა ხალხის აჯანყება მოლებისა და შეძლებულების წინააღმდეგ. მაშინ უკანასკნელნი მწარედ დაფიქრდნენ და სთქვეს: თუ ასე განაგრძო შიტომ, ჩვენს სარჩოს საფრთხე მოელის და გაგიჟდება ხალხი და მოლებსაც აღარაფერს მისცემსო. გადასწყვიტეს, ეხლავე მოეშორებინათ შიტო სოფლიდან, ვიდრე მას ჯერ არაფერი მიმხრობოდა, რათაც გინდა დასჯდომოდათ ეს. ლოცვა-ნამაზის შემდეგ შეიყარნენ მეჩეთის ეზოში და ლაპარაკი გამართეს.

— ეგ ალახსა გმობს, — დაიწყო ყველაზედ უფრო აღელვებულმა ბებერმა ეფენდიმ, — მოლებს შეურაცყოფს, ღმერთიც დავიწყებია, სჯულისათვისაც უაღალატნია და დაუგმია, მოშორდეს სოფელს, მაგას აქ არ ედგომინება.

— ყველაფერი საერთო უნდა იყოსო, ყველას ერთნაირი შეძლება უნდა გექონდესო! კარგია შენმა მზემ, — ჰყვიროდა იარო, მე ასი ცხვარი მყავს, აიგერა წისქვილის გვერდით მუდამ მხარ-თეძოზედ რომა წვეს მაგაზე, რომელსაც სიცოცხლეც კი ეზარება, იმას უნდა გავუყო ჩემი წვითა და დავგით ნაშოვნი ცხვარი: ეგ გაგეჟებულა, მაგას აქ აღარ ედგომინება.

— არ ეფგომინება, კკუთი გასულა — ბრახმორეული ცოფებსა ჰყრიდა ერთი იქ შემთხვევით მომხდარი ბეგი, — მამაპაპათაგან დამრჩომია მამული, ჩვენს წინაპრებს, ვინ იცის, რამდენი სისხლი დაუღვრიათ მაგისტერინ და ეხლა მაგას უღელმალუნდა ჩამოგვართვას და სოფელს დაურიგოს. ცოცხალს არ გავუშვებ მაგას, თუ ჩემს მამულში ფეხი შესდგა.

— წავიდეს, საიდგანაც მოსულა, იქ, მაგას არც ბატონი გაჩნია, არც უმფროსი, არც სჯული. ერთობააო, თანასწორობააო, გაიძახის, წავიდეს და იქ იერთობოს, საცა მოეპრიანოს, — ყვიროდნენ ყველანი ერთხმად.

— მოგვშორდეს, გაგვშორდეს, თორემ ერთმანეთს გადაგვიკიდებს, შუოთსა და უბედურობას ჩამოაგდებს სოფელში.

ჩქარა მეჩეთის ეზოში გილუსტს, შიტოს დედას, დაუძახეს და გამოუცხადეს სოფლის სურვილი. უთხრეს, რომ თუ მას სოფლის პატივისცემა აქვს, ურჩიოს შიტოს, დღესვე მოშორდეს იქაურობას. მთელს სოფელს გადაარევს, თითონ გაგეჟებულა და სოფელსაც ხეიოს არ დააყრის. ჩვენი სოფელი მუდამ ეამს მშვიდი და წყნარი ყოფილა და არც ეხლა გავატიალებინებთ ვისმეს.

— გიცხადებთ — დაუმატა ეფენდიმ, მოშორე ეგ ურჯულო, ღვთის მგომბი სოფელს, თორე არ დავინდობთ.

— შვილო, ადექ, გამოიღვიძე.

— რა იყო, დედა, — თვალების ფშვინებით უთხრა შიტომ, რომელსაც შუადღის უკან ჩასძინებოდა და ჯერეც არ გაპღვიძებოდა.

— ადექ, აქედან უნდა წახვიდე, სოფელმა დაადგინა: შიტო სოფელს გვიჯანყებს, კკუთი გასულაო და თუ არ წავა, ცოცხალს არ გაუშვებთო.

— როგორ თუ ცოცხალს არ გამოშვებენ, ვის შეუძლიან ხელი მახლოს?

— შენ გენაცვალე, შიტო, ჩემო შვილო, დამიჯერე, მთელი სოფელი ერთიანად ამხედრებულია შენზედ, აი,

ის წმინდანსავით აღამაზა, ეფენდიმ რომ არის, ისე მრისხანებდა, კინაღამ შიშით გავიქერ. შენ გენაცვალოს დედა, ეხლა წადი, ამ აღშფოთებულ სოფელს მოშორდი, დაწყნარდეს ხალხი, და მე რე შენი ნება არ არის, ი გიკრძალავს, ისევე მოდი, შენ გეთაყვა, შენ შემოგველე, ჩემო შვილო, — ცახცახით ეუბნებოდა მთლად შეშინებული დედა.

— მართალს მეუბნები, დედა, შენც მეუბნები წავიდე აქედან, შენ, როგორც ქალი, სუსტი არსება ხარ, შეუშინებინარ, აბა მე შემაშინონ?

— შენ გენაცვალოს დედა, ნურსად ნუ წახვალ, მოგკლავენ, წავახდინენ. გვედრები, შენი გულკვლარი დედა, — და თან გულ ამოსკვნილი ევედრებოდა შვილს.

ამგვარს ყოფაში გაატარეს დედა-შვილმა მთელი ღამე. საბრალო გილუსტა ისე იყო დაშინებული, რომ ეგონა ეს არის ეხლავე მოვლენ და შვილს მომიკლავენო.

მეორე დღით გულდამწვარი და დამარებული შიტო გზას გაუდგა. როცა სოფლის მოშორებით სერზედ ავიდა და ერთი კიდეც გადაავლო თვალი თავის სამშობლო სოფელს, გულამოსკვნით ძლივ წაილაპარაკა თავისთვის.

— დიდხანს, დიდხანს კიდეც გეძინება, კიდეც, შენ საბრალო არჩუ, მაგრამ, ეჰ, ვინ იცის, გაიღვიძებ კი როდისმე? მაგ კლდეთა ნაპარლებში ვინ შეიწყენს თავს და ვინ მოვა შენის თვალის ასახელად!..

შიტოს წასვლის შემდეგ სოფელი დამშვიდდა და ძველებურს კალაპოტში ჩადგა ისევე მისი ოდნავ შერყეული ცხოვრება. მშფოთვარი ქოისუ-კი ძველებურად მიხშუს და ნანას ეუბნება სოფელს.

შარჰი ძმანი ჯაფარიძენი



„ორნი არიან, ოლნი არიან, ერთად მიდიან მიიძღვრიან“.